

შპს „საქართველოს შპალსაჟდენთი ქარხანა“



ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა	7
4. ამონაგები	7
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7
6. სხვა შემოსავალი	7
7. ფინანსური ხარჯები/შემოსავლები	8
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
9. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	8
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	9
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	9
13. ძირითადი საშუალებები	9
14. არამატერიალური აქტივები	10
15. მოკლევადიანი ვალდებულებები.....	10
16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები.....	10
17. საკუთარი კაპიტალი	10
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	11

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს საქართველოს შპალსაქდენთი ქარხანა
საიდენტიფიკაციო კოდი: 417876980

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	4	11645474	9060698
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(5983379)	(5802833)
საერთო მოგება		5662095	3257865
სხვა შემოსავალი	6	134426	1451350
შრომის ანაზღაურება		(468318)	(385178)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(441581)	(171588)
ცვეთის ხარჯი		0	0
იჯარის ხარჯი		(4068)	(4067)
საოპერაციო მოგება		4882554	4148382

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	9	(341777)	(124878)
ფინანსური ხარჯი	7	(8180)	(39433)
ფინანსური შემოსავალი	7	142594	2962
მოგება დაბეგვრამდე		4675191	3987033

მოგების გადასახადის ხარჯი			0
მიმდინარე წლის მოგება			

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		4675191	3987033

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		6609882	2738302
ახალი აქციების გამოშვება			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1726562)	(124000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(7)	8550
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		9558504	6609882

დირექტორი:

იაკობ კუბლაშვილი

ხელმოწერა:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს საქართველოს შპალსაქდენთი ქარხანა

საიდენტიფიკაციო კოდი: 417876980

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები		7162138	4546586	2716741
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	4078561	1879039	1174247
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	787975	1403221	10678
გაცემული ავანსები და სხვა მოთხოვნები		349432	29425	29425
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	1884035	1222772	1313624
სხვ მიმდინარე აქტივები		64736	12129	73142
გრძელვადიანი აქტივები		2609436	2095056	1430727
ძირითადი საშუალებები	13	2609436	2095056	1430727
არამატერიალური აქტივები				
სულ აქტივები		9774175	6641642	4147468
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები		215671	31760	1409166
მოკლევადიანი ვალდებულებები	15	28602	24499	31345
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	5235
მიღებული ავანსები		174648	0	1369439
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		12421	7261	3147
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0	0
საკუთარი კაპიტალი		9558504	6609882	2722520
საწესდებო კაპიტალი	17	1000000	1000000	1000000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	17	8558504	5609882	1738302
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9774175	6641642	2738302

დირექტორი:

იაკობ კუბლაშვილი

ხელმოწერა:

შპს საქართველოს შპალსაქლენთი ქარხანა სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს შპალსაქლენთი ქარხანა (ს/კ 417876980) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. გორი, კეცხოველის ქ., №135.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხის ხერხვა/რანდვა და რეალიზაცია.

კომპანიაში პარტნიორთა წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ამიერკავკასიის შპალსაქლენთი ქარხანა ს/კ 417882795 - 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაცი-ასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 2%
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 10-30 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შე-მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყო-ვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცი-რებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცი-რებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღი-არდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვე-ვაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებუ-ლი სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებუ-ლება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპრო-ცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებუ-ლი აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემო-სულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი შპალების რეალიზაციიდან	11593510	1371179
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	51964	7689519
	11645474	9060698

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
გაყიდული/შემძენილი საქონელი	(5933846)	5802833
ტრანსპორტირების ხარჯები	(12762)	35469
წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი	(36771)	
	(5983379)	(5838302)

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2023 წელში მიღებულ არასაოპერაციო შემოსავლს 134426 ლარს, ავტომობილის რეალიზაციით მიღებულ თანხას.

7. ფინანსური ხარჯები/შემოსავლები

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	(7817)	(39432)
საპროცენტო შემოსავალი	140496	2962
სხვა ფინანსური შემოსავალი	2098	0
სხვა ფინანსური ხარჯი	(363)	0
	134414	(36470)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
კომუნიკაციის ხარჯები	(2550)	(1655)
კომუნალური გადასახდელები	(28916)	(15934)
საკონსულტაციო ხარჯები	(6500)	(29425)
საოფისე ხარჯი	(4247)	0
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(17035)	0
დაზღვევის ხარჯი	(6756)	0
მიწოდების და ტრანსპორტირების ხარჯი	(226164)	0
სხვა საგადასახადო ხარჯი	(26511)	0
სოციალური დანარიცხები	(7059)	(3767)
სამივლინებო ხარჯი	(5194)	(12866)
საბანკო მომსახურება	(18786)	(16143)
სხვა საერთო ხარჯი	(91863)	(91798)
	(441581)	(171588)

9. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	16396	109616
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(66146)	(160401)
სხვა არასაოპერაციო შემოსწავალი	14628	0
ავტომობილის გაყიდვიდან მიღებული ხარჯი	(290096)	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(16559)	(74092)
	(341777)	(124878)

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3149972	860335
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	928439	1018705
ეროვნული ვალუტა სალაროში	150	0
	4078561	1879039

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო დებიტორები	481399	1403221
გაცემული სესხი	300000	0
მისაღები პროცენტი	6576	0
	787975	1403221

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2023	2022
საქონელი	270351	68214
ნედლეული და მასალები	969706	845704
მზა პროდუქცია	637376	308854
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	6602	10992
	1884035	1233764

13. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენობა-ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2023 წ.	994848	61537	13794	12591	99978	1182748

შემოსვლა	31758	1769	16047	8262	839846	896956
გასვლა	0		0		300197	300197
31 დეკემბერი 2024 წ.	1026606	63306	29841	20127	639627	1779507

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	შენიშვნა-ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2023 წ.	375288	38043	5479	3772	18673	441 255
წლიური ცვეთა	3288	1902	3140	3775	60661	72766
31 დეკემბერი 2024წ.	378576	39945	8619	7547	79334	514021
საბალანსო ღირებულება	648030	23361	21222	12580	560293	1265486

კომპანია ასევე ფლობს მიწის ნაკვეთს, რომლის ღირებულებაც შეადგენს 1343950 ლარს.

14. არამატერიალური აქტივები

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს

15. მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
კრედიტორული დავალიანება რეზიდენტ საწარმოებზე	28602	23075
ვალდებულება მიღებულ ავანსებზე	174648	655
	203250	23730

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფართი. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად:

2023	2022
(4068)	(4,068)

17. საკუთარი კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 9558504 ლარს, რომელიც შედგება საწესდებო კაპიტალის 1,000,000 ლარი და გაუნაწილებელი მოგების 8558504 ლარისგან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 25/09/2024.

დირექტორი:

იაკობ კუბლაშვილი

ხელმოწერა:

ი.

